შპს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"-ის

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შპს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია რეგისტრირებულია საქართველოს ჩუღურეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 1995 წლი 13 დეკემბერს. რეგისტრაციის ნომერია 03/4-133. ფაქტიური და იურიდიული მისამართია ქ. თბილისი კოტე მარჯანიშვილის 29 გ . დამფუძნებლები არიან ლეილა მესხი - 99,9% და თამარ ყიფიანი-0,1%. დირექტორი ლეილა მესხი

საზოგადოების ძირითად საქმიანობას შეადგენს მოზარდთა სპორტული აღზრდა, ჩოგბურთის, როგორც სპორტული მიმართულების, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და განვითარება მოსახლეობის ფართო ფენებში. 2017 წლის ოქტომბრიდან საზოგადოებაში ფუნქციონირებს სასტუმროს რამდენიმე ნომერი, კაფე, სოლარიუმი, კოსმეტოლოგიის კაბინეტი, სატრენაჟორო და საცურაო აუზი.

საზოგადოება ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში. 2015 წლის 01 დეკემბრიდან დარეგისტრირებულია ნებაყოფლობით დღგ-ს გადამხდელად (დღგ -ით არ იბეგრება, მხოლოდ მოზარდთა სპორტული წრეებიდან მიღებული ამონაგები)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
• ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას• დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიურიმოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

სზოგადოება ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
• ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
• სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანტარდების(მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ე.ი ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვალში ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა

ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანი ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან

22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და

შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება.ყოველივე აქედან

გამომდინარე კომპანიამ შეაჩერა ფუნქციონირება, დაიკეტა როგორც სპორტული კომპლექსი

ასევე სასტუმრო, გაუქმდა სრული 2020 წლის სასტუმროს ჯავშნები და ფაქტობრივად სასტუმროს

2021 წლამდე აღარ განუახლებია მუშაობა. ივნისის თვეში მუშაობა განაახლა სპორტულმა

კომპლექსმა თუმცა ნოემბრის ბოლოს გამკაცრებული რეგულაციების გამო კვლავ დაიკეტა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიუხედავადკომპანიამ განაგძო მუშაობა . ამჟამად ყველა ობიექტი

მუშაობს, რეგულაციების მიხედვით.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობის დადგენილებით საზოგადოებამ 2020 წელს ისარგებლა საგადსახადო შეღავათებით და ნაწილობრივ გათავისუფლდა ქონებისა და საშემოსავლო გადასახადებისგან.

ფინანსური ანგარიშგება შედგება: 2018 - 2019 -2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის, 2019-2020 წლის საქმიანობის შედეგების და 2019-2020

წლების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

წამოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, ლარის

ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 1 იანვარს	2.8677	3.2095
2019 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, ბანკებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან აღირიცხება ცალკე მომსახურების სფეროების მიხედვით, დღგ-ს გადასახადისაგან განთავისუფლებული მომსახურეობა გამიჯნულად ,რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულებები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით და რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს .

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია უწყვეტი. აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე მაგ კაფის ნედლეული, სასტუმროს მომსახურების მატ. ფასეულობები და ა.შ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის დროს საზოგადოება იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცას: ნასყიდობის ფასს, ტრანსპორტირების და რიგ შემთხვევაში განბაჟების ხარჯებს. საკუთარი ძალებით აშენებული ძირითადი საშუალებების ღირებულებაში ნასყიდოს ფასი,გარდა მოგებისა.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით (შეძენის ფასს აკლდება დარიცხული ცვეთა)

- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით

- **ძირითადი საშუალებები** აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხებით და გაუფასურების ანარიცხებით საჭიროებისამებრ. შემდგომი დანახარჯები აიასახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში ,როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. შენება-ნაგებობების შეკეთების

უმნიშვნელო ხარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში, ხოლო ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ამოიღება ხმარებიდან.

- ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი არსებობის შმთხვევაში , აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება საბალანსო ღირებულებამდე,გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში. აქივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ზარალის კორექტირება. ცვლილების შემთხვევაში ხდება წინა წლებში ასახული გაუფასურების ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსავალი და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით,რომელიც მოიცავს ნასყიდბოსს ფასს და ერიცხება ცვეთა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად საზოგადოება იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

- **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.**

- კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) საზოგადოებას უმნიშვნელო სავაჭრო მოკლევადიანი ვალდებულება აქვს.

საგადასახადო ვალდებულებები

საზოგადოება რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში

ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით).

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ან აზღაურების რეალური ღირებულებით.
- **ხარჯების აღიარება**
- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.
-

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით

გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საზოგადოებამ 2020 წელში გასცა წინასწარ გამოუცხადებელი დივიდენდი და შესაბამისად დაიბეგრა მოგების გადასახადით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით . კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. რაც არ შეცვლილა საზოგადოების დააარსებიდან.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13594	58686	82962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	119462	106696	97836
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	103447	117903	0
მარაგები	8146	12841	15667
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	8146	12841	15667

საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	12448
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	11358	13723	15201
ძირითადი საშუალებები	2527384	2713541	2941745
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	**2783391**	**3023390**	**3165859**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	413	11653	17375
ანარიცხები	0	334	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	17218	4887	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	811418	917543	1015123
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1123	0	0
სულ ვალდებულებები	**830172**	**934417**	**1032498**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	39855	39855	39855
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1836297	1972051	2016439
გადაფასების რეზერვი	77067	77067	77067
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	**1953219**	**2088973**	**2133361**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**2783391**	**3023390**	**3165859**
სულ მოკლევადიანი აქტივები	**244642**	**296126**	**196465**
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**17631**	**16874**	**17375**

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	384534	1030541
საქონლის გაყიდვიდან	0	10721
მომსახურების გაწევიდან	384534	1019820
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-45300	-125544
საწყისი მარაგები	0	15667
მარაგების შესყიდვა	0	122718
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	339234	904997
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-122773	-183194
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-217926	-240015
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-25790	-84206
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-92997	-307998
სულ საოპერაციო ხარჯები	-459486	-815413
საოპერაციო მოგება	-120252	89584
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-120252	89584
მოგების გადასახადის ხარჯი	3907	-19235
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-116345	70349
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-116345	70349
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2088973	2133361
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-19409	-114737
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1953219	2088973

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	22838	137070
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-67930	-161346
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-45092	-24276
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	58686	82962
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13594	58686

შპს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია **2020**

შენიშვნა 1

	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
თანხა სალაროში	13390	37825
თანხა ბანკში -ლარი	204	20663
თანხა ბანკში - აშშ.დოლარი		18
თანხა ბანკში - ევრო		180
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	13594	58686

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
სასტუმროს მომსახურება	45231	41318

ფართის იჯარა	74231	65378
გადახდილი ავანსები	103447	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**222909**	**106696**

სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ მომხდარა, რადგან ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული .გვყავს ისეთი დებიტორი რომელისგანაც თანხის ამოღების საეჭვოა - ვინაიდან ვერ მოვიძიეთ ფაქტიური მისამართი, განცხადებით მივმართეთ პოლიციას და პროკურატურას 2018 წლის ნოემბერში და დღესაც ველოდებით შედეგს.

შენიშვნა 3

სასაქონლო მატერიალური მარაგი	**31.12.2020**	**31.12.2019**
კაფის ნედლეული	368	3687
სასტუმროს , აუზის და სხვა მომსახურეობისთვის განკუთვნილი საქონელი	6281	7387
ჩოგბურთი ბურთები	1767	1767
სასაქონლო მატერიალური მარაგი	**8416**	**12841**

2020 წლის განმავლობაში 45300 ლარის ღირებულების მარაგები დაიხარჯა კაფის, საცურაო აუზის, სასტუმროს და სხვა მომსახურეობაზე და საშუალო შეწონილი ღირებულებით ჩამოიწერა მოგება ზარალის ანგარიშში.

შენიშვნა 4

გრძელვადიანი აქტივები		**31.12.2020**
	სასარგებლო მომსახურების ვადა წელი	**ღირ-ბა ლარი**
შენობობები და ნაგებობები	20-50	2206822
დანადგარები	5-10	75556
ავეჯი , ინვენტარი და საოფისე აღჭურვილობა	3-5	245006
არამატერიალური აქტივი -პროგრამა-ფინა	3-8	11358
სულ გრძელვადიანი აქტივები		2538742

2019 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ძირითადი საშუალებები მოიცავს ნარჩენ ღირებულებას. ცვეთის დარიცხვა ხდება კომპანიის მიერ არჩეული წრფივი მეთოდით.

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	413	11653
გადასახდელი ხელფასები		0
სხვა ანარიცხები	1123	334
სულ	**1536**	**11987**

შენიშვნა 6

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
დღგ-ს გადასახადი	9512	
ქონების გადსახადი	5664	5221
საშემოსავლო	2042	
სულ	17218	5221

საზოგადოება წინასწარ იხდის ქონების გადასახადს.

სხვა ხარჯები 7	31.12.2020	31.12.2019
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	39042	158647
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	36803	9291
საგადასახადო შეღავათი დარიცხული საშემოსავლოს მიმართ	-5516	
ბანკის მოსახურების საკომისიო	4406	11325
სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯი		94507
ქონების გადასახადი	18262	34228
სულ	**92997**	**307998**

შენიშვნა 8

სესხი	31.12.2020	31.12.2019
მიღებული თიბისი ბანკის სესხი - ევრო		1893605
დაბრუნებული სესხი სს თიბისი ევრო	106125	-106555
დაბრუნებულია სესხი დოლარი		-1884630

ნაშთი	811418	917543

შენიშვნა 9

ფინანსური ხარჯი

	2020	2019
გაცემული დივიდენდი ლეილა მესხი	19409	114737
მოგების გადასახადი	3907	19235

2020 წელს გაიცა დივიდენდი 19409 ლარი ლეილა მესხზე . აღნიშნული თანხა დაიბეგრა მოგების გადასახადით და საშემოსავლო გადასახადით.

შენიშვნა 10

საწესდებო კაპიტალი	2020	2019
კაპიტალი (ლეილა მესხი)	39855	39855
გადაფასების რეზერვი	77067	77067

დირექტორი ლეილა მესხი

ბუღალტერი მაკა შეთეკაური

ლეილა მესხის ტენისის აკადემია
Leila Meskhi TENNIS ACADEMY
202904731
GEORGIA